

გთავაზობთ 'სპორტის კანონის' მიხედვით საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის
წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტს.

წ ე ს დ ე ბ ა

საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

თბილისი

2018წელი

- 2 -

1. პრეამბულა

1.1. საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი წარმოადგენს ადრე რეგისტრირებული მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების - საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის სამართალმემკვიდრეს.

2. ტერმინთა განმარტება

2.1. “მოჭადრაკე“-დ ჩაითვლება ყველა ის პირი, რომელიც მონაწილეობს ან მონაწილეობდა საჭადრაკო ცხოვრებაში და გააჩნია ჭადრაკში სპორტული წოდება.

2.2. “დანესებულება“ ნიშნავს ფედერაციის მიერ შექმნილ ორგანიზაციას, სადაც მიმდინარეობს კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული და სხვა სახის არასამეწარმეო საქმიანობა.

2.3. “რეგიონული საჭადრაკო ორგანიზაცია“ ნიშნავს ავტონომიურ რესპუბლიკებში, ქ.თბილისსა და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში (გუბერნიები) დაფუძნებულ დამოუკიდებელ

იურიდიული სტატუსის მქონე საჭადრაკო ფედერაციას, რომელიც შექმნილია საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით და აღიარებს მის წესდებას.

2.4. “საწარმო“ ნიშნავს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ დაფუძნებულ ან მის მიერ წილობრივი მონაწილეობით შექმნილ სამეწარმეო საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს “მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად.

2.5. “ფიდუ“- მსოფლიოს საჭადრაკო ფედერაცია.

2.6. “ესკ“ - ევროპის საჭადრაკო კავშირი.

3. სახელწოდება, ადგილმდებარეობა

3.1. ორგანიზაციის სახელწოდებაა საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. შემოკლებული სახელწოდებაა საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ა(ა)იპ.

3.2. საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ა(ა)იპ (შემდგომში “ფედერაცია”) არის საზოგადოებრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსის,

- 3 -

სპორტის შესახებ კანონის, ფიდე-სა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

3.3. ფედერაცია ცნობს ოლიმპიური მოძრაობის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან.

3.4. ფედერაცია ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს სპორტის მართვის სახელმწიფო ორგანოსთან.

3.5. ფედერაციის მისამართია: თბილისი, კოსტავას ქ. # 37 ა, ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლე.

4. ფედერაციის საქმიანობის მიზანი და ამოცანები

4.1. ფედერაციის საქმიანობის მიზანია:

- საქართველოში ჭადრაკის განვითარება;
- მაღალკვალიფიციურ მოჭადრაკეთა მომზადების სისტემის სრულყოფა;
- საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობის

უზრუნველყოფა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებში,
მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, აგრეთვე
საერთაშორისო ტურნირებში;

- საქართველოს ჩემპიონატებისა და საქართველოში
საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზება;
- ფიდესა და ევროპის საჭადრაკო კავშირში საქართველოს
წარდგენა;
- ბავშვთა და მოზარდთა შორის ჭადრაკის დანერგვა და
განვითარება;
- მოჭადრაკეთა, მწვრთნელთა და სპეციალისტთა სოციალურ
საკითხებზე ზრუნვა;

4.2. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ფედერაცია:

- შეიმუშავებს და ანხორციელებს ჭადრაკის განვითარების
პროგრამებს;
- ყოველწლიურად ადგენს ფედერაციის სპორტულ კალენდარს და
ამტკიცებს საჭადრაკო ღონისძიებების დებულებებს;
- ქმნის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს, უზრუნველყოფს მათ
მომზადებასა და მონაწილეობას საერთაშორისო სპორტულ
ღონისძიებებში;
- ორგანიზებას უწევს საქართველოში ეროვნული და
საერთაშორისო ტურნირების გამართვას;
- ატარებს ღონისძიებებს მწვრთნელებისა და მსაჯთა კადრების
მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

- 4 -

- გამოსცემს სასწავლო-მეთოდურ, საცნობარო-საინფორმაციო
და სხვა სახის ლიტერატურას;

4.3. ფედერაციას უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი

საქმიანობა, მათ შორის სამეწარმეო, რაც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

5. წევრობა

5.1. ფედერაციის წევრი შეიძლება გახდეს:

- საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე;
- ფიზიკური და ჭადრაკთან ასოცირებული იურიდიული პირი.

5.2. ფედერაციის წევრად მიღება ხდება მსურველთა წერილობითი განცხადების საფუძველზე ფედერაციის გამგეობის მიერ. უცხო ქვეყნის ფედერაციის წევრის მიღება ხდება ფიდეს დადგენილი რეგულაციების გათვალისწინებით.

5.3. წევრს უფლება აქვს გავიდეს ფედერაციიდან წერილობითი განცხადების საფუძველზე. სპორტსმენთა გადასვლა სხვა ქვეყნის ფედერაციაში შესაძლებელია მხოლოდ ფიდეს რეგულაციების გათვალისწინებით.

5.4. ფედერაციის წევრი შეიძლება გარიცხულ იქნას ფედერაციიდან, თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ფედერაციის მიზნებს და ლახავს ფედერაციის სახელსა და ღირსებას; აგრეთვე საწევრო შესატანის გადაუხდელობის შემთხვევაში.

5.5. წევრის გარიცხვის შესახებ დადგენილებას იღებს ფედერაციის გამგეობა.

5.6. ფედერაციეს საპატიო წევრის წოდება ენიჭება საქართველოს ან უცხოეთის მოქალაქეს, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული ჭადრაკის განვითარების საქმეში

6. წევრის უფლებები და მოვალეობები

6.1. ფედერაციის წევრს უფლება აქვს:

- 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ იყოს არჩეული ფედერაციის მართვის ორგანოებში;

- კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს ფედერაციის პროგრამებისა და პროექტების შემუშავებაში, განხილვასა და განხორციელებაში;

- 5 -

6.2. ფედერაციის წევრი ვალდებულია:

- გადაიხადოს საწევრო შესატანი.
- გაუფრთხილდეს ფედერაციის ღირსებასა და ავტორიტეტს.

6.3. წევრის მიერ ამ წესდებით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა გამოიწვევს 5.4. პუნქტით გათვალისწინებულ სამართებლივ შედეგებს.

7. საწევრო შესატანი

7.1. საწევრო შესატანის რაოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ფედერაციის გამგეობის მიერ.

8. ფედერაციის მართვის ორგანოები

8.1. ფედერაციის მართვის ორგანოებია:

1. ყრილობა;
2. გამგეობა;
3. კომისიები.

9. ყრილობა

9.1. ფედერაციის უმაღლესი ორგანოა ყრილობა.

ყრილობა მოიწვევა ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილებით ოთხ წელიწადში ერთხელ, საარჩევნო წლის მე-4 (მეოთხე) კვარტალში.

9.2. ყრილობის ჩატარების ზუსტ თარიღს გამგეობა ნიშნავს

საარჩევნო წლის სექტემბრის თვის არაუგვიანეს მეორე დეკადისა და ქმნის ყრილობის მოსამზადებელ ჯგუფს (შემდგომში მოსამზადებელი ჯგუფი).

9.3. ყრილობის მოსამზადებელი ჯგუფის წევრებს ნიშნავს

გამგეობა და ამტკიცებს ჯგუფის მუშაობის დებულებას.

9.4. ყრილობის მოწვევის შესახებ ფედერაციის სუბიექტებს

ეცნობება წერილობით. შეტყობინებაში აღინიშნება ყრილობის ჩატარების ადგილი, დრო, დღის წესრიგი. შესაბამისი ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვებ-გვერდზე.

9.5. ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა ყრილობის დანყებაამდე

50(ორმოცდაათი) დღით ადრე ფედერაციის სამდივნოში უნდა წარადგინოს განცხადება საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ.

- 6 -

9.6. ფედერაციის სუბიექტების – იურიდიული პირების მიერ არჩეული დელეგატების პერსონალური სია ყრილობის მოსამზადებელ ჯგუფში წარმოდგენილ უნდა იქნას ყრილობის ჩატარებამდე 50 (ორმოცდაათი)

დღით ადრე, ხოლო ყრილობის დელეგატთა საბოლოო სიის ფორმირება ხდება ყრილობამდე 40 (ორმოცი) დღით ადრე.

9.7. ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატმა ყრილობის ჩატარებამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე ფედერაციის სამდივნოში უნდა წარმოადგინოს:

ა) მხარდამჭერი სუბიექტის ვინაობა – ერთ-ერთის მაინც ქვემოთ ჩამოთვლილთაგან: ფედერაციის გამგეობა, 2 (ორი) რეგიონული ფედერაცია ან ფიზიკური პირებიდან 7 (შვიდი) დელეგატი.

ბ) ვიცე-პრეზიდენტების (არაუმეტეს ორი) და გენერალური მდივნის კანდიდატების ვინაობა მათი წერილობითი თანხმობით.

9.8. ყრილობის დელეგატთა რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. ყრილობის წევრთა არანაკლებ $\frac{3}{4}$ (სამი მეოთხედი) წარმოადგენენ “სპორტის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრულისპორტული ორგანიზაციები. კერძოდ:

1.1. ავტონომიური რესპუბლიკების, თბილისისა და რეგიონების

ჭადრაკის ფედერაციები – 2-2 (ორ-ორი) დელეგატი, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს მოჭადრაკე;

1.2. საჭადრაკო კლუბებს – 2-2 (ორ-ორი) დელეგატი, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს მოჭადრაკე;

(იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო პერიოდში კლუბმა 2-ჯერ მაინც

მიიღო მონაწილეობა საქართველოს საკლუბო ჩემპიონატში);

1.3. ფედერაციის გამგეობის ნომინაციით საჭადრაკო საგამანათლებლო დაწესებულებებიდან 5 სუბიექტი-2-2 (ორ-ორი) დელეგატი, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იყოს მოჭადრაკე;

2. ყრილობის წევრთა არაუმეტეს $\frac{1}{4}$ -ს (ერთი მეოთხედი) წარმოადგენენ ფიზიკური პირები, რომლებიც შემდეგი პრიორიტეტით შეირჩევა: ა) ეროვნული ნაკრების წევრები ბ) გამგეობის ნომინანტები. პერსონალური შემადგენლობა მტკიცდება ფედერაციის გამგეობის მიერ ყრილობის ჩატარებამდე 40 (ორმოცი) დღით ადრე.

9.9. ყრილობა უფლებამოსილია თუ მას ესწრება დელეგატთა

არანაკლებ $\frac{2}{3}$ -სა (ორი მესამედი). იმ შემთხვევაში თუ ყრილობა

აღმოჩნდება უუფლებო, მაშინ იგი განმეორებით მოიწვევა 7 დღის

შემდეგ იმავე დღის წესრიგით. განმეორებით მოწვეული ყრილობა

უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა ნახევარი მაინც.

9.10. ყრილობის მუშაობას წარმართავს ფედერაციის პრეზიდენტი ან მოსამზადებელი ჯგუფის თავმჯდომარე (წევრი).

9.11. ყრილობის დელეგატს კენჭისყრისას აქვს ერთი ხმა. ხმების თანაბრად გაყოფისას საკითხი მიიჩნევა განუხილველად და საკითხზე

- 7 -

კენჭისყრა ხელმეორედ იმართება იმავე დღესვე.

9.12. ყრილობა გადანყვეტილებას იღებს ფარული ან ღია კენჭისყრით.

9.13. ყრილობის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელშიც მიეთითება ყრილობის ჩატარების დრო, ადგილი, დელეგატთა რაოდენობა, დღის

წესრიგი, განხილული საკითხების არსებითი შინაარსი და ყრილობის გადანყვეტილებები.

9.14. ყრილობის მასალები ინახება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის სამდივნოში.

10. რიგგარეშე ყრილობა

10.1. რიგგარეშე ყრილობა შეიძლება მოწვეული იქნას:

ა) გამგეობის წევრთა ორი მესამედის მოთხოვნით;

ბ) ფედერაციის პრეზიდენტის ინიციატივით.

10.2. ფედერაციის წესდების შეგნებულად (უხეში) დარღვევისათვის ფედერაციის პრეზიდენტის მიმართ შეიძლება განხორციელდეს იმპიჩმენტი.

10.3. რიგგარეშე ყრილობა პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის განსახილველად მოიწვევა გამგეობის გადანყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს ერთი თვის განმავლობაში.

10.4. რიგგარეშე ყრილობის მოწვევის დროს და დღის წესრიგს ადგენს ფედერაციის გამგეობა.

10.5. რიგგარეშე ყრილობა იმართება წინა ყრილობის დელეგატების მონაწილეობით.

10.6. იმპიჩმენტის საკითხის დაყენების უფლება აქვს ფედერაციის გამგეობის წევრთა ნახევარს. გადანყვეტილება რიგგარეშე ყრილობაზე პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხის დაყენების შესახებ მიიღება გამგეობის წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3-ით.

10.7. ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე მოქმედი პრეზიდენტის ნდობის გამოცხადებისთვის საჭიროა ხმების უბრალო უმრავლესობა.

10.8. პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი ყრილობაზე წყდება ფარული კენჭისყრით.

- 8 -

11. ფედერაციის ყრილობის კომპეტენცია

11.1. ყრილობის კომპეტენციას განეკუთვნება:

- ფედერაციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
- ფედერაციის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტებისა და გენერალური მდივნის არჩევა;
- ფედერაციის გამგეობის წევრების არჩევა;
- ფედერაციის საპატიო პრეზიდენტის არჩევა;
- ფედერაციის რეორგანიზაცია და გაუქმება (ლიკვიდაცია);

11.2. ყრილობა გადანყვეტილებებს იღებს კენჭისყრაში მონაწილე დელეგატების ხმების უბრალო უმრავლესობით. გადანყვეტილებას

წესდების შეცვლის შესახებ - დამსწრე დელეგატების ხმების 2/3-ით (ორი მესამედი). ფედერაციის რეორგანიზაციის ან გაუქმების შესახებ გადანყვეტილების მისაღებად საჭიროა ყრილობაზე დამსწრე დელეგატთა ხმების $3/4^{3/4}$ (სამი მეოთხედი).

12. ფედერაციის გამგეობა

12.1. ფედერაციის გამგეობა (შემდეგში “გამგეობა”) შედგება ფედერაციის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტების, გენერალური მდივნისა და ყრილობის მიერ არჩეული სხვა წევრებისგან.

გამგეობის წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს (ჩვიდმეტი).

17-ს

12.2. გამგეობის წევრობის კანდიდატებს ყრილობაზე ასარჩევად წარადგენს ფედერაციის პრეზიდენტი.

12.3. გამგეობა ფედერაციის საპატიო ვიცე-პრეზიდენტსა და გამგეობის საპატიო წევრს ირჩევს სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით.

12.4. პრეზიდენტის ინიციატივით გამგეობის სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ერთხელ მაინც კვარტალში. სხდომას წარმართავს ფედერაციის პრეზიდენტი ან ვიცე-პრეზიდენტი.

12.5. სათანადო საფუძვლების მითითებით გამგეობის რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას ფედერაციის პრეზიდენტის მიერ ან გამგეობის წევრთა 1/3-ის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

12.6. გამგეობის სხდომის გამართვისა და დღის წესრიგის შესახებ გამგეობის წევრებს უნდა ეცნობოს გამგეობის სხდომის

- 9 -

ჩატარებამდე სამი დღით ადრე.

12.7. გამგეობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

12.8. გადაწყვეტილების მიღებისას გამგეობის თითოეულ წევრს

აქვს ერთი ხმა. გამგეობის მიერ გადაწყვეტილება მიიღება გამგეობის დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია ფედერაციის პრეზიდენტის, ხოლო მისი არყოფნისას – პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ხმა.

12.9. გამგეობის სხდომის მუშაობა აისახება ოქმში, რომელშიც აღინიშნება სხდომის ჩატარების ადგილი, დრო, მონაწილეთა რაოდენობა, განხილული საკითხების არსებითი შინაარსი და გამგეობის გადაწყვეტილება. ოქმს ხელს აწერს ფედერაციის პრეზიდენტი და სხდომის მდივანი, პრეზიდენტის არყოფნისას – ვიცე-პრეზიდენტი და სხდომის მდივანი.

12.10. გამგეობის სხდომის ოქმები ინახება სამდივნოში.

13. გამგეობის წევრის, ვიცე-პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის უფლებამოსილების შეწყვეტა.

13.1. გამგეობის წევრის, ვიცე-პრეზიდენტის, გენერალური მდივნის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:

ა) დაკისრებული მოვალეობის სისტემატურად

შეუსრულებლობა;

ბ) საკუთარი განცხადება;

გ) გამგეობის წევრის მიმართ კანონიერ ძალაში შესული

სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენი;

დ) გარდაცვალება.

13.2. 13.1 ა პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლისას გამგეობის

წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის დაყენების უფლება აქვს ფედერაციის პრეზიდენტს ან გამგეობის წევრთა 1/3-ს (ერთი მესამედი).

13.3. გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს გამგეობა იხილავს საკითხის დაყენებიდან სამი დღის ვადაში.

გადაწყვეტილება მიიღება გამგეობის სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით. ვიცე-პრეზიდენტს და გენერალური მდივანს უფლებამოსილება უწყდება გამგეობის წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3-ის (ორი მესამედი) თანხმობით.

- 10 -

13.4. გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში

გამგეობას შეუძლია, მომდევნო ყრილობის მოწვევამდე ფედერაციის პრეზიდენტის წარდგინებით და გამგეობის წევრთა სიითი შემადგენლობის უბრალო უმრავლესობით აირჩიოს ახალი წევრი.

13.5. ვიცე-პრეზიდენტის ან გენერალური მდივნის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში პრეზიდენტს უფლება აქვს გამგეობას წარუდგინოს ვიცე-პრეზიდენტის და გენერალური მდივნის

კანდიდატურები ასარჩევად. ვიცე-პრეზიდენტის ან გენერალური მდივნის კანდიდატურების ასარჩევად საჭიროა გამგეობის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობა.

14. გამგეობის კომპეტენცია

14.1. გამგეობა უფლებამოსილია:

- განსაზღვროს ფედერაციის საქმიანობის პრინციპები;
- განსაზღვროს გამგეობის წევრთა ფუნქციები;
- მიიღოს და დაამტკიცოს ფედერაციის წევრები;
- მოიწვიოს ყრილობა წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში;
- დააფუძნოს საწარმოები და დაწესებულებები ან გადაწყვიტოს სხვა საწარმოებში წილობრივი მონაწილეობის საკითხი, დაამტკიცოს დაფუძნებული საწარმოებისა და დაწესებულებების წესდებები (დებულებები), დანიშნოს და

გაათავისუფლოს საწარმოთა და დაწესებულებათა
ხელმძღვანელები;

- განსაზღვროს ხელმძღვანელობის უფლება და ფარგლები ამ წესდების მიხედვით;
- განკარგოს ფედერაციის ქონება;
- წარმართოს ფედერაციის ლიკვიდაცია;
- კოორდინაცია გაუწიოს რეგიონული საჯარაკო ფედერაციების ეფექტურ მუშაობას;
- წარმართოს ფედერაციის საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად;
- განსაზღვროს საწევრო შესატანის ყოველწლიური ოდენობა;
- დაამტკიცოს ფედერაციის დაწესებულებათა ბიუჯეტი ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- დაამტკიცოს ყრილობის ჩასატარებელი მოსამზადებელი ჯგუფი;
- ცნოს ავტონომიური და რეგიონული საჯარაკო ფედერაციები;
- აირჩიოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ყრილობამდე, იმ შემთხვევაში თუ საარჩევნო ყრილობამდე დარჩენილია ერთ წელიწადზე ნაკლები. სხვა შემთხვევაში პრეზიდენტის ასარჩევად გამგეობის მიერ მოიწვევა რიგგარეშე

- 11 -

ყრილობა;

- დაამტკიცოს ფედერაციის ბეჭედი, შტამპი და საწევრო წიგნაკის ნიმუში;
- დაამტკიცოს ფედერაციის კალენდარი, ბიუჯეტი;
- დანიშნოს სტიპენდიები და განსაზღვროს მათი ოდენობა;
- დაამტკიცოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელები;
 - დაამტკიცოს კომისიის წევრები და თავმჯდომარეები, მიანიჭოს სპორტული წოდებები;
- დააყენოს ფედერაციის პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი;

- დააყენოს ვიცე-პრეზიდენტის, გენერალური მდივნის, გამგეობის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი.

14.2. გამგეობა უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები წესდებაში, გამგეობის წევრთა ხმების 3/4-ით (სამი მეოთხედი).

15. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

15.1. ფედერაციის პრეზიდენტი ირჩევა ოთხი წლის ვადით.

ფედერაციის პრეზიდენტი

- ხელმძღვანელობს ქვეყანაში ჭადრაკის განვითარებისა და მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას;
- წარმართავს ფედერაციის მუშაობის სტრატეგიულ მიმართულებას, ხელმძღვანელობს გამგეობის სხდომებს, განიხილავს ფედერაციის სახელზე შემოსულ დოკუმენტებს და განცხადებებს;
 - განსაზღვრავს ფედერაციის თანამდებობის პირებისა და მომსახურე პერსონალის ფუნქციებს, ხელფასის ოდენობას ფედერაციის ბიუჯეტის ფარგლებში;
 - ნიშნავს ან ათავისუფლებს აპარატის თანამშრომლებს;
 - ახორციელებს საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ფედერაციის და ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის სასახლის შემოქმედებით, ადმინისტრაციულ, სამეურნეო, ფინანსურ მოღვაწეობასთან;
 - მოქმედებს ფედერაციის სახელით, წარმოადგენს ფედერაციას სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციებში.
 - პირადად ან მის მიერ დელეგირებული პირის მეშვეობით წარმოადგენს ფედერაციას ფიდე-სა და სხვა საერთაშორისო საჭადრაკო ორგანიზაციებში
 - დებს ხელშეკრულებას, ხელს აწერს ფინანსურ საბუთებს, საბანკო ორგანიზაციებში ხსნის ფედერაციის ანგარიშებს;

- უფლება აქვს ყრილობას ასარჩევად წარუდგინოს მესამე ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურა.
- წყვეტს ოპერატიულ საკითხებს გამგეობების სხდომებს შორის პერიოდში.

- 12 -

15.2. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები

- ხელმძღვანელობს ფედერაციის საქმიანობას იმ ფარგლებში, რომელსაც განსაზღვრავს პრეზიდენტი გამგეობასთან შეთანხმებით.

15.3 ფედერაციის გენერალური მდივანი

- უშუალოდ ასრულებს პრეზიდენტისა და გამგეობის გადაწყვეტილებებს ფედერაციის აპარატის მეშვეობით.

16. ფედერაციის კომისიები

16.1. ფედერაციის წესდებით გათვალისწინებული ამოცანების განსახორციელებლად გამგეობის გადაწყვეტილებით იქმნება კომისიები.

16.2. კომისიების საქმიანობის წესი და ამოცანები განისაზღვრება სპეციალური დებულებით, რომელსაც ამტკიცებს გამგეობა.

17. წლიური ბალანსი და ანგარიში

17.1. გამგეობა შეიმუშავებს ფედერაციის წლიურ ბალანსსა და ანგარიშს.

17.2. ყოველი წლის ბოლოს ფედერაციის გამგეობა განიხილავს

ფედერაციის ფინანსურ მდგომარეობას და ადგენს სავარაუდო ბიუჯეტს მომავალი წლისთვის.

18. ფედერაციის ქონება

18.1. ფედერაციის ქონება წარმოიქმნება:

- ფედერაციის წევრთა საწევრო შესატანებიდან;
- სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხებიდან;
- დაფუძნებული ან მათი მონაწილეობით შექმნილი საწარმოებიდან მიღებული დივიდენდებიდან.
- სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და მოქალაქეთა შემონირულობებისაგან;
- სხვა წყაროებიდან, რომელიც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით;

18.2. მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება “საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის” კუთვნილი ქონება წარმოადგენს ფედერაციის ქონებას;

- 13 -

18.3. ფედერაციის ქონება გამოიყენება მხოლოდ საწესდებო მიზნებისათვის;

18.4. ფედერაციის წევრები არ იღებენ არავითარ წილს ფედერაციის ქონებიდან. მიღებული ქონება ხმარდება ფედერაციის მიზნებს;

18.5. ფედერაციის გამგეობამ შემოსავლებიდან გამომდინარე შეიძლება შექმნას სარეზერვო, საქველმოქმედო და სხვა ფონდები.

19. ფედერაციის არსებობის ხანგრძლივობა

19.1. ფედერაცია შექმნილია და მოქმედებს განუსაზღვრელი დროით.

20. ფედერაციის რეორგანიზაცია და გაუქმება (ლიკვიდაცია)

20.1. ფედერაციის რეორგანიზაცია (მიერთება, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

20.2. ფედერაციის გაუქმება ხდება შემდეგ შემთხვევაში:

- გაკოტრებისას ან რეგისტრაციის გაუქმებისას;
- თუ ფედერაცია არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე;
- ყრილობის გადაწყვეტილებით;
- კანონმდებლობით გათვლისწინებულ სხვა შემთხვევაში.

20.3. ფედერაციიდან რომელიმე წევრის გასვლა არ გამოიწვევს ფედერაციის გაუქმებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ წევრის გასვლა გამოიწვევს კანონით განსაზღვრული აუცილებელი რაოდენობის

შემცირებას. ასეთ შემთხვევაში ფედერაციის წევრის გასვლის ძალაში შესვლამდე მიღებული უნდა იქნეს ახალი წევრი.

20.4. ფედერაციის ლიკვიდაციას ახორციელებს ფედერაციის გამგეობა.

ლიკვიდაციის განხორციელება შეიძლება დაევალოს გამგეობის ერთ ან რამოდენიმე წევრს.

20.5. ფედერაციის ქონების ლიკვიდაცია ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

20.6. ფედერაციის ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა იმავე ან მსგავსი მიზნების მქონე არაკომერციულ ორგანიზაციას, რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას გამოიტანს ფედერაციის გამგეობა.

21. დავის გადაწყვეტა

21.1. ფედერაციის წევრებს, ასევე ფედერაციისა და მის წევრებს შორის წარმოქმნილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სასამართლო.

21.2. ფედერაციასა და მესამე პირებს შორის წარმოქმნილი დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს ჭადრაკის

ფედერაციის პრეზიდენტი

გიორგი გიორგაძე